



ბორჯომი

11 მაისი
ხუთშაბათი
2023 წელი
№20 (9282)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ფასი 40 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

გამარჯვების სკვერში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და რეგიონში მოქალაქეებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირები გაიხსენეს და მათ სლოგანს პატივი კიდევ ერთხელ მიაგეს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ**, საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილ-**

დარბაზის თავმჯდომარემ **ზაურ ლაზარაშვილმა** თავიანთ გამოცვლებში ხაზი გაუსვეს ბორჯომელ ბერძელთა თავდადებას. მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს. **დეკანოზმა იოანემ (ხეცურთან)** გარდაცვლილი გმირების სულის მოსახსენებელი პანაშვილი გადაიხადა.

შემდეგ კი ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა და რეგიონმა ბორჯომელებმა „მშათა სასაფლაოზე“ გადაინაცვლეს, სადაც მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს. მოგვიანებით თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ვეტერანებს - **ოთარ გელაშვილ-**

უწყვეტობის საპროექტო საჭიროებების შესახებ განხილვა



სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარის, **ეკატერინე ორჯონიკიძის** ინიციატივით **ბაკურიანში**, იუსტიციის სახლის შეხვედრების დარბაზში, უწყვეტობის საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, **კობა გაბუნია**, სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **დავით ვარდიაშვილი**, სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალის, ენერჯოპრო ჯორჯიასა და „სოკარ ჯორჯია გაზის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მიზანს ბაკურიანში არსებული გამონეგების, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვა წარმოადგენდა.

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარის განმარტებით, ბაკურიანში არაერთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაგეგმილია. ეკატერინე ორჯონიკიძის თქმით, პროექტების მიმდინარეობის დროს მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან სწორი კომუნიკაცია და სწორი ინფორმაციის მიწოდება თითოეული ნაბიჯის შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმილი სამუშაოები დათქმულ ვადებში განხორციელდეს. შესაბამისი უწყებები კი ინტენსიურ კომუნიკაციაში იქნებიან მოსახლეობასთან, რათა პროექტების განხორციელების დროს შექმნილი დისკომფორტი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.



სა და გიორგი ჩადუნელს გამარჯვების დღე პირადად მიულოცეს და სასაჩუქრე პაკეტები გადასცეს. შეგახსენებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტისგან მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს 300 ლარი, ხოლო მათთან გათანაბრებულ პირებს 100 ლარი ჩაერიცხათ. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 500 ლარს მიიღებენ.

მა, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორმა **ვალერიან ლომიძემ**, ომის ვეტერანთა სამსახურის უფროსმა **ვახტანგ ბეშინაძემ**, საზოგადოებრივი აზრის

ლონისძიებმა ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლებმა: „ბორჯომი“ და „ნენანა“ მ უ ს ი კ ა ლ უ რ ა დ გააფორმეს.

ინფრასტრუქტურული პროექტების რეაბილიტაცია გრძელდება

ბორჯომის მუნიციპალიტეტში საყრდენი კედლების რეაბილიტაცია განხორციელდა. საყრდენი კედლები მოეწყობა ნიკოლაძის, რობაქიძის და ალმაშენების ქუჩებზე. ასევე, სოფელ დაბაში. საყრდენი კედლების რეაბილიტაცია დაგეგმილია ორბელიანის ქუჩაზე და სოფელ ყვიბისში. საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.



ბორჯომში, მესხეთის №31-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული ნაწილი რეაბილიტაცია გრძელდება. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, განხორციელდა კორპუსის დაზიანებული ფასადის, აივნების და ლიფტის აღდგენითი სამუშაოები. შეიცვალა კარფანჯრები და გარემონტდა სადარბაზო.

თეორიულ კონფერენციაზე - ბათუმში



3-4 მაისს, ბათუმში, USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების (HICD) პროექტის ფარგლებში გაიმართა რეგიონული კონფერენცია თემაზე - „მდგრადი ინსტიტუტების მშენებლობა საქართველოში“. კონფერენციის მიზანი საქართველოს რეგიონებში ინსტიტუციური განვითარების უფრო მაღალ ხარისხზე მისვლა იყო. ლონისძიებას USAID საქართველოს, აჭარის

ადგილობრივი ხელისუფლების, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მონაწილე საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. კონფერენციაზე მომსახურებულმა HICD პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებიდან, ინსტიტუციური განვითარების პროცესები და შედეგები მომთხროველნი.

დაძლევის გზები და ახალი მიდგომები. კონფერენციის მონაწილეებმა, მენტორებთან ერთად, საკუთარი ორგანიზაციული პრაქტიკა გააანალიზეს და სამუშაოს გაუმჯობესების სფეროებზე იმსჯელეს. ბაკურიანის განვითარების სააგენტოდან კონფერენციას სააგენტოს ხელმძღვანელი **ეკატერინე ორჯონიკიძე** და საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი **მარიამ ლომიძე** ესწრებოდნენ.

ყვავილები ბაკურიანის მოსახლეობას

ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის, ეკატერინე ორჯონიკიძის ინიციატივით ბაკურიანის ცენტრალური ქუჩის ლობებზე ყვავილები გადმოიკიდა. „სააგენტოში დანიშნულნი დიდი სურვილი მქონდა, ბაკურიანის ცენტრალურ ქუჩებზე, ასევე აივნებზე განგვეთავსებინა ყვავილები. ძალიან მიზანშეწონილია იყოს სახე დიდი დღე უმჯობესდება. ჩემი თხოვნა იქნება, ბიზნეს სექტორის წარმომადგენ-



ლებმა მიიღონ ამ ინიციატივაში მონაწილეობა და გააღამაზონ საკუთარი აივნები და ლობებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გადაცემა.

ბი ბაკურიანის განვითარების სააგენტოს პროექტის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გადაცემა.

მოგვინევს ბრუნვა ერის გადარჩენისათვის!

დღეს საქართველოში არსებული დემოგრაფიული სიტუაცია თითოეული ქართველის დიდ წუხილს იწვევს. დარწმუნებული ვარ, ყველა განიცდის არსებულ ვითარებას, სტატისტიკური მონაცემები კი ნამდვილად საგანგაშოა. არადა, განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, დემოგრაფიული ვითარება განუზრვლად უარესდება; მცირდება შობადობა, იზრდება გარდაცვლილთა რაოდენობა, ბევრ რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი კლება საგანგაშო ზღვარს მიუახლოვდა, შემცირდა ქორწინება, განუზრვლად ახლადგაბედნიერებულთა განქორწინების ფაქტები, წილი ემიგრანტთა ქვეყნიდან გადინებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ორ მილიონამდე საქართველოს მოქალაქე ემიგრაციაშია და ლუკმა-პურის საშოვნელად უცხოეთშია გადასვნილი. სამაგიეროდ, აზიის უღარიბესი ქვეყნების წარმომადგენლებმა საქართველოში შეიძინეს ბინები, მიწები, დაიმტკიცეს ბინადრობის უფლება, თუმცა ჩვენთან მუდმივად ცხოვრებაზე არც მდიდრები ამბობენ უარს.

როგორც ცნობილი დემოგრაფები, ისტორიკოსები და ეკონომისტები აცხადებენ, ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის, ეკოლოგიური კატაკლიზმების პირობებში. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კატასტროფულად შემცირდა საკვები პროდუქტების წარმოება, მოსახლეობა მწვავედ განიცდის სასმელი წყლის ნაკლებობას. საქართველოში ხელსაწყოები გეოპოლიტიკური მიდებარების გამო მრავალი დიდი და პატარა სახელმწიფოების ინტერესები იკვეთება და ძნელდება ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა. ქართველთა დემოგრაფიულ გასაჭირზე სხვა ბევრი სუბიექტური და ობიექტური პრობლემებია და ამიტომაც იყო, რომ გაერომ საქართველო 2050 წლისათვის „მომავალზე ერთა“ სიაში შეიყვანა, ეს კი მეტ ცუდ გუნებაზე აყენებს სამშობლოს ბედით გულანებულ და მოსიყვარულე ქართველებს.

ზოგადი საუბარი რომ არ გამოვიდეს, კონკრეტული ციფრებით და ფაქტებით შევეცდები ზემოთ ნათქვამი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით გავაყარო. ხელთ მაქვს 1975 წლიდან მოყოლებული 2023 წლამდე არსებული სტატისტიკური მონაცემები „საზოგადოებრივი მონაცემები“ დროს ანუ 1989 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერისას საქართველოს მოსახლეობამ 5,5 მილიონს მიაღწია. მას შემდეგ ორჯერ ჩატარდა მოსახლეობის აღწერა 2002 და 2014 წლებში. დღეს ოფიციალური მონაცემებით საქართველოში 3 მილიონ 736400 ადამიანი ცხოვრობს და წინა წელთან შედარებით 1,3 პროცენტით გაიზარდა. ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის 2023 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მონაცემები. საქართველოს მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი დასახლებებში ცხოვრობს, ამასთან თბილისის მთლიანი მოსახლეობის მესამედს შეადგენს. 2023 წლის 1 იანვრისათვის 0-14 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი

მთელ მოსახლეობაში 20,7 პროცენტია. შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკი) - 63,8 პროცენტია, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკისაა 15,6 პროცენტი. 2023 წლის მდგომარეობით საქართველოში 1793,8 ათასი მამაკაცი და 1942,5 ათასი ქალია. (48 პროცენტი კაცი და 52 პროცენტი ქალი). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 35 წლამდე ასაკის კაცების რიცხვით აღემატება ქალებისას, ხოლო 35 წლის ასაკიდან ზევით საპირისპირო სიტუაციაა, რაც გამოწვეულია კაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლისუნარიანობით. საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 73,7 წელია (კაცების - 69,4 წელი, ქალების - 78,1 წელი). 2022 წელს ემიგრანტების რიცხვობამ 125 269 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 25,3 პროცენტით მეტია; იმიგრანტების რიცხვობა 142,9 პროცენტით გაიზარდა და 179 778 კაცი შეადგინა. საგუროსხმოა ისიც, რომ ემიგრანტთა 86,7 პროცენტი და ემიგრანტთა 84,3 პროცენტი შრომისუნარიანი ასაკისაა (15-64წ.). ამავე პერი-



ოდში ემიგრანტების 30,3 პროცენტს და იმიგრანტების 80,5 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ, ანუ საქართველოდან გავიდა (ემიგრანტთა) 80,5 პროცენტი, შემოვიდა - 30,3 პროცენტი. საქართველოში 2022 წელს უცხო ქვეყნების მოქალაქეობის მქონე 125 313 კაცი შემოვიდა და 37 114 კი გავიდა. მშრალი ციფრებით რომ არ გადავალთ, კიდევ რამდენიმე საგანგაშო ციფრს მოგახსენებ. საქართველოში შემოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა გასულთა რაოდენობას 88 199 აღემატება. 2022 წელს საქართველოში 54405 თანამემამულე დაბრუნდა, ხოლო საქართველო დატოვა 200 802 მოქალაქე. როგორც ხედავთ, საგანგაშო სტატისტიკაა, კიდევ უფრო უარესი სტატისტიკური მონაცემებია ევროკავშირში წამსვლელთა შორის. მარშან ევროკავშირში პირველადი მოთხოვნით თავშესაფარი მოითხოვა 881 200 ადამიანი, მათ შორის საქართველოს 25 935-მა მოქალაქემ. ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნის სტატისტიკით საქართველო მსოფლიოს ათეულშია. ამ მაჩვენებლით უსწრებს მეზობლებს: სომხეთს, აზერბაიჯანს და რუსეთს, გამოხაკლისი თურქეთთან. სხვათაშორის თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებს შორის 2022 წელს წინა

წელთან შედარებით 64 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საქართველოს მაჩვენებელი 108 პროცენტითაა გაზრდილი. ამ სტატისტიკით თუ 2021 წელს მეთერთმეტე ადგილზე ვიყავით, ახლა მეექვსე პოზიციაზე ვართ. კონკრეტული მიმართებებიანობით თუ 2021 წელს 14660 განაცხადით მეათე ადგილზე ვიყავით, 2022 წლისათვის ეს მაჩვენებელი 28385-მდე გაიზარდა (ზრდა 93,8 პროცენტია). საქართველოს მოქალაქეთა მიმართვიანობა ძირითადად მოდის საფრანგეთის (8905), გერმანიის (7965), იტალიის (3240), ბელგიის (840), ირლანდიის (2705), ესპანეთის (600) და შვეიცარიის (660) ქვეყნებზე. 2022 წელს ევროკავშირის 27 ქვეყანაში თავშესაფრის პირველად მაძიებელთა განაცხადების თითქმის ნახევარი (48%) აზიის ქვეყნებზე მოდის, 22% - აფრიკის ქვეყნებზე, ხოლო ევროპის ქვეყნების მოქალაქეებზე მოთხოვნა 17 პროცენტია. დაგვეთანხმებით, ეს მონაცემები დამაფიქრებელიც არის და საგანგაშოც. მთავარ კითხვად რჩება: **ქართველებო, ვის ვუტოვებთ ჩვენს სამშობლოს?** ღირს ამ პრობლემაზე დაფიქრება, თუ რომ მოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველოში სულ 4488 სოფლიდან 700 სოფელი მთლიანად დატოვდა და 800 სოფელში მხოლოდ მოხუცები და პენსიონერები ცხოვრობენ. მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა, სოფელში არსებულ მეტად მძიმე და გაუსაძლის მდგომარეობაზე არაერთი წერილი გამოვაქვეყნე, რომელიც ჩვენი გაზეთის ერთ გულშია შეგობარმა აგროექსპერტმა, მეცნიერების დოქტორმა ბატონმა **ანზორ მესხიშვილმა** მოგვანოდა, მაგრამ როგორც იტყვიან, „შეყარე კედელს ცერცვი“ - არსადაც ხმა, არსით ძახილი, ყველაფერი ისევ ძველებურად კი არა, უარესადაა. ასეთი ცუდი დემოგრაფიული ვითარება, როგორც ახლაა საქართველოში, მეორე მსოფლიო ომის წლებშიც არ ყოფილა. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა იმერეთში, რაჭაში, გურიაში, სამეგრელოში. **თუ რა მდგომარეობაა ჩვენს რაიონში დემოგრაფიული თვალსაზრისით, ამის შესახებ წერილს მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ.**

ვალერიან ლომიძე

პრობლემები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში

ის, რომ ბოკჯოშის რაიონში ბოლო წლებში მანძილზე უამრავი კამპანია გაიმართა, აკაინი დაიწყო. ჯანდაცვის, სოციალური, ინფრასტრუქტურული თუ სხვადასხვა მიზნით. რაიონში დაგეგმილი საქმიანობები ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე პრობლემებს და არც 2023 წელსა და მათ შორის უამრავად აღნიშნულ წინადადებას უარყოფითად ახალი უნის ბარიერიანა, რომლის აღგებნისთვისაც მთელი რაიონის მნიშვნელოვანი სახსრები უნდა იქნას გამოყენებული. რამდენიმე წელიწადი უკვე გრძელდება მთელი რაიონის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების მიზნით. 2023 წლის 1 იანვრისათვის 0-14 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი



სოფო თაბუნაძე - მე ყოველთვის ვამბობ იმას, რომ რაც ჩემ ქალაქში დახმარება აქვს ხალხს, ეს იქნება შელავათიანი სამგზავრო სისტემა შიდა ტრანსპორტზე, თუ ჯანდაცვის კუთხით, მე მსგავსი სახის დახმარება ჯერ არ მინახავს და არ გამიგონია არც ერთ რაიონში. თუმცა, კარგთან ერთად აუცილებელია ცუდიც აღვნიშნოთ, მაგალითად, მოუწესრიგებელი გზები და დღემოდამ გადათხრილი ადგილები, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში. მარტო მხოლოდ მე არ აღვნიშნავ, ყველა ამბობს, რომ „ლიბერთი“ ბანკიდან თითქმის პატარა სუპერმარკეტ „გულმარტის“ ტერიტორიამდე, მორყეულია ფილები, რომელიც განსაკუთრებით დიდ დისკომფორტს ქმნის წვიმიან ამინდში, ალბათ წელი არ გავა, რომ ფილები არ ამოიყაროს. ერთი კარგი შელოცვა თუ უშველის ანი, თორემ როგორც ჩანს, არაკვალიფიციური მუშახელი ასრულებს სამუშაოს, ან საკმაოდ უზარისხო მასალებით ასრულებენ სამუშაოებს, აბა, რატომ უნდა ხდებოდეს საჭირო ყოველ წელს აღნიშნული ადგილის ყელახლა შეკეთება?



მინიმუმ პირველ რიგში ძაღლების პრობლემა უნდა მოგვარდეს, რადგანაც საკურორტო ქალაქია და ასე ყოველ კუთხე-კუთხულობაში, რომ ამდენი მშვიერი გასაცოდავებული ცხოველი დაიარება, ცოტა არ იყოს სირცხვილია. ამბიციები კი აქვთ, იცოცხლეთ, მაგრამ რას აკეთებენ, მაგალითად, კიდევ საზოგადოებრივი საპირფარეო, რომელიც არც ქალაქის ცენტრში არ გვაქვს (არის, მაგრამ რად გინდა? 1 ლარი ღირს და თუ

იმ წუთს არ აღმოგჩნდა ის თანხა, ვაი შენს დღეს, ლანძღვა-გინებით ავიკლებს იქ მომუშავე ქალი, თუ ფული არ გქონდა, რას შემოდოდიო, სისუფთავეზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია). მონქსრიგებულ საპირფარეო არ გვაქვს არც ცენტრალური ისტორიული პარკის ტერიტორიაზე არც კოსტავას ბაღში. მე ვფიქრობ, ეს ყველაზე დიდი სირცხვილია. **თამარიკო ლაცაბიძე** - ის, რაც ყველაზე თვალში საცემია, ამ ბოლო წლების მანძილზე, ბორჯომში, ეს არის გადატვირთული მოძრაობა ცენტრალურ გზაზე, ჩემი შვილები სკოლის მოსწავლეები არიან და პირადად მე ქალაქის ცენტრში, სადაც გზა უნდა გადაკვეთონ, მარტო ვერ ვუშვებ, უბრალოდ ვერ ვხვდები, სად ემქარებათ და ზებრა გადასასვლელზე ასე სწრაფად რატომ მოძრაობენ, რომ ფეხით მოსიარულეებს საფრთხე შეუქმნან? ხომ უნდა არეგულირებდნენ ამ საკითხს? მითუმეტეს საკურორტო ზონაში? **გია ნოზაძე** - პარკინგი და მხოლოდ პარკინგი, თანაც ფასიანი. ისე უწესრიგოდ დგანან ყოველ კუთხეში ეს მანქანები, რომ ფეხით მოსიარულე-

საც ვერ გავცივდება თავისუფლად. აბა, წადით სხვა საკურორტო ქალაქებში, თუ შეძლებთ უფასოდ სადმე დადგეთ? ბევრი რამ გვაკლია ჯერ, რომ ევროპის ქალაქებს მივედაროთ მსგავსი საკითხებით. **ნათია საბანაძე** - საპირფარეოები, რომელიც ფაქტიურად არაა ქალაქში. რამდენჯერ სტუმრები მყავდნენ და განსაკუთრებით უზერსულობა ვიგრძენი, როდესაც პირთხეს, სად შეიძლება ესარგებოთ საპირფარეოში და მე ერთდეროთ ქალაქის ცენტრში არსებულ საპირფარეოზე მივუთითებ და შესული სტუმარი ორ წამში გამოვიდა, წყალი არ მოდიოდა. ძალიან შევცხვი. **გიული ლომიძე** - ბორჯომში იმავითად ჩამოვდივარ, თუმცა თვალში მხვდებოდა ისევ ბევრგან მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა, გადავსებულ ნაგვის ურნებთან დაყრილი საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელიც შესაძლოა, რომ ისეთ ადამიანს აჩუქო, ვისაც იცი, რომ არ აქვს და გამოიყენებს, ასე ყველაფერი ქუჩაში ნაგვის ურნებთან დაყარო, მე ვფიქრობ არ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს საკურორტო ზონაა. **გამოიკითხა ნატო გულიძე**

